



საქართველო

მემკვიდრეობა

მოგარაგების მინისტრი ავითაცხადებს,

რომ ხანინისტროს ბათუმის კანტონის სეკსეპტოლოკ-მირსკის ქუჩიდან გადატანილია ახალ ბინაზე—მარინის პროსპექტზე № 29.

890 1—1 მონარაგების ხიზინისტრო.

ა უ ქ ც ი რ ნ ი.

მე 7 ქვეთა ათასეული აცხადებს, რომ 16 სექტემბერს დილის ცხრა საათზე დანიშნულია

საქმიანი დაგრაჟული სხანაგისა

აუქციონი მოხდება არსენალში მე 7 ქვეთა ათასეულის უმწყობრო გუნდის ეზოში. 2720 1—1

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაგაგობა ავითაცხადებს

რომ სააქიფო ფაკულტეტისა და საგუნაგისგაგაგობა ფაკულტეტის გეოგრაფიისა და მასაგე პურსზე იხსნაგ პარალელური პურსაგე რუსულ ენაზე

ყოფილი ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, რომელნიც მიღებულ იქნენთან თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესებისა. თხოვნების მიღება პარალელური კურსების სტუდენტად ჩარიცხვისათვის სწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიისაში ამა სექტემბრის ოცდახუთამდის. თხოვნას თანდართული უნდა ჰქონდეს მოწმობები: 1) საშუალო სასწავლებლის გათავებისა, 2) მეტრიკული, 3) სახმედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4) ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტისაგან საგნებისა და კურსების ჩათვლის შესახებ და 5) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

წინანდლის სახელმწიფო გაგაგის საგვარტველო ავით საყოველთაოდ აცხადებს

რომ კვირას, 19 ამა სექტემბერს, დილის 10 საათზე—მაგულის სამმართველოში დანიშნულია

საჯარო ვაჭროგა 75.000 წალი მუხის ტვირის (კლიოკაგების) დასაგაგა დეგლათ

განმეორებითი ვაჭროგა მოხდება 23 ენკენისთვეს. სატყევე ტყეების აღება შეუძლია იკის. როს მამულმა ოელავის მარის დაჩებში—სატყეო უწყებასთან შეთანხმებით. აღნიშნულ რაოდენობის ტყეების დამზადება დაფასებულია 2.567.250 შან. და ვაჭროგა ამ ფასებიდან დაიწყება. მსურველს შეუძლია წარმოადგინოს დახურული პაკეტებიც. ვაჭროგაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს ვაჭროგის დაწყებამდე მიღელი ფასის 10% ფულათ თუ პროცენტთან ქალაღდებით. დაწერილებითი პირობების ვაგება შეიძლება ტფილისში, სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში ყოველ დღე 9-1 საათამდე და მამულში ყოველ დროს. 887 2—2

ოფიციალური განყოფილება.

შინაგან საქმეთა მინისტრისაგან. 13 სექტემბერი, 1920 წ., № 57. დაგბრუნდი: რა შეგებულბიდან ამა წლის 13 სექტემბერს, იმავე დღიდან შეუდექი ჩემის მოვალეობის აღსრულებას. შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი.

განკარგულბანი

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა 7 სექტემბერი, 1920 წ., № 28. დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელე ირაკლი აბესალომის ძე ტყეშელაძე 1920 წლის სექტემბრის 7-დან. თანახმად მისი თხოვნისა. 9 სექტემბერი, 1920 წ., № 29. ინიშნება: მოქალაქე ლილია გრიგოლის ასული საქართველოს სენატის კანცელარიის

მოხელედ 1920 წ. სექტემბრის 9-დან, სამ. სახურისთვის სისხლის სამართლის საქასაციო დეპარტამენტში გადარიცხვით. საქართველოს სენატის თავმჯდომარის მაგიერ მისი ამხანაგი ი. ჯაფარიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

11 სექტემბერი, 1920 წ., № 327. დღეს სამსახურის საქმეებისა გამო მიგემგზავრები გორის მაზრაში. დეპარტამენტის დირექტორი გ. უარდანი.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უფროსისა.

31 აგვისტო, 1920 წ. № 45. გამწვებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი ქალი თამარ ნაზაროვა რემინგტონისტკათ ბათუმის კანტონში. მოქალაქენი:

ვასილ კობიძე და გიორგი კობიძე ზედამხედველებათ ბათუმის ტელეფონის ქსელზე. ვასილ კობიძე დაბალი ჯამაგირით, გიორგი მალაღი ჯამაგირით. მოქალაქე პეტრე დიომინი ზედამხედველად დაბალი ჯამაგირით ფოთში. ყოფილი ფოსტალიონები: ანაიოდისტე პატარია და რაქდენ აბრამიშვილი და მოქალაქენი: ალექსი ხუციშვილი და სამსონ შანაძე ფოსტალიონებათ: პატარია მეორე კატეგორიით არდაგანში, აბრამიშვილი მეორე კატეგორიით თიანეთში, ხუციშვილი პირველი კატეგორიით ბორჯომში და შანაძე პირველი კატეგორიით ბათუმში; ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ნინო მარქარიანი და მოქალაქენი: მარიამ კაჭარავა, ელენე ბარტოვსკაია, ალექსანდრა სურგულაძე, ირინე ფურცელაძე, ეკატერინე ძაგნიძე, მარიამ დლონტი, ეკატერინე ხიშიაშვილი, ნადეჟდა მიგროდოვა, მილიცია გვალა, ნინო ესიავა, ნინო ჯორბენაძე და ქსენია მამულავა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: მარქარიანი მე-5 ხარისხით ტფილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე, კაჭარავა მე-6 ხ. აბასთუმანში, ბარტოვსკაია მე 6 ხარ. ფოთში, სურგულაძე, ფურცელაძე, ძაგნიძე, დლონტი, ხიშიაშვილი, მიგროდოვა, გვალა, ესიავა, ჯორბენაძე და მამულავა მე-6 ხარისხებით ბათუმის ტელეფონის ქსელზე; ნაზაროვა, დიომინი, პატარია, აბრამიშვილი, შანაძე, ბარტოვსკაია, და მიგროდოვა 1 სექტემბრიდან, ხუციშვილი 23 აგვისტოდან, მარქარიანი 25 აგვისტოდან კაჭარავა 24 აგვისტოდან, სურგულაძე, დლონტი ჯორბენაძე 15 აგვისტოდან, დანარჩენნი პირველ აგვისტოდან 1920 წლის. დანიშნულნი არიან: პირველი ხარ. მოხელე სამმართველოსა კონსტანტინე შოთაძე და მარქარიანი მეხუთე კლასის კანტონის უფროსი ნესტორ ქედია მეოთხე კლასის კანტონების უფროსებათ: შოთაძე ყვირილაში, ქედია სამტრედიაში. ფოთის მე-3 კლასის კანტონის უფროსის თანაშემწე ამბროსი ბარათაშვილი თანახმად თხოვნისა პირველ ხარისხის მოხელეთ ბათუმში; ფოთის კანტონის მე 3 ხარისხის მოხელე აქესენტი ხელიძე იმავე კანტონის უფროსის თანაშემწეთ; მეორე კატეგორიის ფოსტალიონები: წნორის-წყლის გიორგი გიორგაძე და ტფილისის ფოსტის გრიგოლ გვიგუნი პირველ კატეგორიის ფოსტალიონებათ იმავე კანტონებში. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსები: მლეთის ნიკოლოზ ნათაძე და სამიქაოსი ნიკოლოზ მიქაძე მოხელეებათ ტფილისის ტელეგრაფში, ნათაძე მეხუთე ხარისხით და მიქაძე მეოთხე ხარისხით; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ამაშის გიორგი კანტურია და ტფილისის ტელეგრაფის გიორგი ბურდული განყოფილების უფროსებათ: კანტურია ხულოში, ბურდული მლეთში, მიქაძე 21 აგვისტოდან დანარჩენნი პირველ სექტემბრიდან 1920 წლისა.

ტელეგრაფის მეორე ხარ. არჩილ კაშია და მეხუთე ხარ. ალექსანდრა ახვლედიანი, I ხარ. ერმოლოზ იზრაილოვი და ცაგერის მე-6 ხარ. ივანე წერეთელი; ახრაილოვი 19 აგვისტოდან, გლეგოვი 26 აგვისტოდან, ახვლედიანი 27 აგვისტოდან, კორძაია და წერეთელი 1 სექტემბრიდან 1920 წლისა, ხოლო წერეთელი თანახმად 573 მუხ. ძალით, მესამე ტომის გამოცემული 1896 წლისა ერთი წლის ვალში ავადმყოფობის გამო სამსახურში გამოუცხადებლობის გამო; დანარჩენნი თანახმად თხოვნებისა.

გამორიცხულნი არიან: მოსამსახურეთა სიებიდან არდაგვის კანტონის ფოსტალიონი მელიტონ ჯიქია დღიდან დანიშნისა სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 16 ივლისიდან 1920 წლისა. სამმართველოს უფროსი გველაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

ურუმის სამინისტროსაგან.

გვროპის სოცილისტთა დელეგაციის შესახებ დრად კენტრალურ კომისის დღეგენილებით 15 სექტემბერს ყველა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში მთავრობის ნებართვის თანახმად, საქმის წარმოება, მუშაობა შეჩერებულ იქნება. ყველა დაწესებულების უფროსებს და მმართველებს ვარდა წყალსადენის, ელექტრონულ სადგურების, საავადმყოფოების, ხორცის და სურსათის საავტომობილის, ევალებათ ამ დღეს ყველა მუშა-მოსამსახურეთი სამსახურიდან გაანთავისუფლონ. შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ბახტაძე.

შინაგ. საქმ. სამინისტროში.


მიღების დრო. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი სექტემბრის 13 თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, მოხოგენილებს მიიღებს ოთხშაბათობით და შაბათობით დილის 12—1 საათამდე.

ახალციხის ქალაქის თვითმართველობა.

ახალციხიდან დაბრუნდა აღმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ქარცივაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ახალციხის ქალაქის გამგეობის ზოგერთ წევრთა საქმის გამოძიება. გამოძიების მასალა შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცა. აქედან სასამართლო პალატის პროკურორს გადაეცემა. ამ ამბების გამო ქალაქის თავი იუზუაშვილი სამსახურიდან გადადგა. ახალციხის ქალაქის საბჭომ დაადგინა: დაეგეობის სარევიზო კომისიის მონაწილენო ქალაქის საქმეთა რევიზია და გამოძიების ქალაქის თავისა და გამგეობის წევრთა მოქმედება.

შინაგ-მოქალაქის სამინისტროში.

სანერგის შესახებ. ბათუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ახალციხის სანერგის შესახებ მიეცეს მას უპროცენტო სესხის სახით 150.000 მანეთი ერთი წლის ვადით. მიწად-მოქმედების სამინისტრომ ხსენებულ საზოგადოების შუამდგომლობა დააკმაყოფილა იმ პირობით, რომ საზოგადოებამ შესარულოს სამისო ფორმალური მხარე, თავისი მოღვაწეობა მიმართოს იმ მიზნისკენ, რომ სანერგეს ნაწარმოებით დაკმაყოფილდეს საერთოდ რესპუბლიკის საჭიროებანი. ხსენებულ მასალის განაწილება უნდა ხდებოდეს სამინისტროს შეთანხმებით და უპირველესად დაკმაყოფილებულ უნდა იყოს მიწად-მოქმედების სამინისტრო.



მომე მდგომარეობაში იმყოფება ვიდრე ინ-
გლისი. ჩვენ არ ველით გერმანიისგან კონ-
ტინენტის წესიერათ მიღებას. ამიტომ საფ-
რანგეთმა ფრთხილად უნდა იმოქმედოს და
დაიცავს კავშირი ინგლისთან. მით უმეტესად
უადგილოა ის ბრალდებანი, რომლებსაც ზო-
გიერთი საფრანგეთის გაკლენიანი მოღვაწე-
ბი უყენებენ ინგლისს. საფრანგეთის პრესა
ამტკიცებს, თითქმის ინგლისმა საფრანგეთი
მოატყუა. ინგლისმა უნდა გაიგოს საფრან-
გეთის ავთოყოფური მდგომარეობა. საფრან-
გეთის შიში გერმანიის აღდგენის ბუნებრი-
ვი. ყოველ შემთხვევაში ინგლისსა და საფ-
რანგეთს შორის არ არსებობს ისეთი უთან-
ხმოება, რომ შესაძლებელი იყოს მათ შორის
კონფლიქტის ჩამოგდება.

საბჭოთა აგენტები.

„დილი-მელი“ გადმოგვცემს: საბჭოთა
აგენტები ავრცელებენ ხმებს თითქოს წი-
თელი ჯარის რიცხვი 3/4 მილ. კაცს უდრი-
დეს. ვაზეთი ამბობს, რომ იმ მილიტარის-
ტურ სივრცის გამო, რომელიც რუსეთს მოე-
დვა, ასეთი ჯარის ყოლა მართლაც შესაძ-
ლებელი არისო. უფრო საყურადღებოა ამ-
ბობს ვაზეთი, რომ გერმანიის ერთი წლის
შემდეგ შეუძლია რუსის ჯარის გამარავ-
ლება და შესაძლებელია ამ ორ სახელმწიფოს
გაერთიანებული ჯარები ორი წლის შემდეგ
კვლავ ვერდენის კედლების წინ გამოჩნ-
დესო.

**ინგლისი და რუსეთ-პოლონეთის სა-
კითხი.**

„მანჩესტერ გეოგრაფი“ სწერს: ინგლისი
რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკებას უცდის.
რუსეთს პრემიერული წარმოდგენა მიანიჭო თუ
აქვს ხალხის დამოუკიდებლობის მნიშვნელო-
ბაზე, პოლონეთთან ზავი უნდა შეკრას. მა-
შინ დაიწყება მოლაპარაკება ინგლისსა და
რუსეთს შორის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს
მოლაპარაკება ჩქარა დასრულდება. საბჭოთა
რუსეთის აღიარება აუცილებელია თუნდაც
იპიტომ, რომ იქ დემოკრატიული წყობილე-
ბა დამყარდეს მხოლოდ ომი აძლიერებს ბოლ-
შევიკებს. გადავიდეთ მეორე სისტემაზე:
იტალიასთან ერთად გავგზავნოთ მოსკოვში
ჩვენი წარმომადგენლები. შეიძლება შემდეგ
საფრანგეთიც დავეთანხმოს, რომ ჩვენი ტაქ-
ტიკა უფრო მიზან შეწონილია.

საბჭოთა მთავრობის მოწოდება.

ლონდონში მყოფი „უმანიტეს“ კორესპო-
დენტი იტყობინება ტელეფონით, რომ ლო-
ნდონში მიღებულია საბჭოთა მთავრობის მო-
წოდება საფრანგეთის მუშებისადმი მიმართუ-
ლით. ამ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ
საფრანგეთმა იცნო რა ვრანგელი ამით ომი
გამოუცხადა რუსეთს. ომი გამოცხადებულ-
ა უმიზეზოთ და წინასწარ მოულოაპარაკე-
ბლა, თუმცა კრასინს და კამენევს არა ერ-
თხელ გამოუთქვამთ სურვილი საფრანგეთის
მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებისა.
ვრანგელის აღიარებით საფრანგეთმა უარი
სთქვა რუსეთთან მოლაპარაკების წარმოებაზე
რითაც რუსეთის სამოქალაქო ომს ახან-
გრძლივებს. ამას კი შეუძლია მხოლოდ ომის
გამოწვევა. საფრანგეთის მუშების ხელშია
მთელი ქვეყნის ბედი.

ბურცევის მოწოდების გამო.

გერმანიის პრესა ენება ბურცევის მოწო-
დებს ბოლშევიკებთან ბრძოლის შესახებ.
ამ მოწოდების პასუხი დაბეჭდა გერმანიის
გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა, რო-
მელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ბურცევის
მოწოდებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ
ბრძოლის გამოცხადების შესახებ, გერმანე-
ლები არ გამოეხმაურებიანო. თავის აზრს
სიმონსი ასე ასაბუთებს: გერმანიის ახალგაზ-
რდობა ძლიერ დაიღალა ბრძოლით და ახლა
საბჭოთა რუსეთთან ომში ჩაბმა მთლად დაა-
უძღურებს მას. ამის გარდა ისტორიის მავა-
ლით გვაჩვენებს, რომ ფიზიკური ძალით
სოციალური მოძრაობის და რევოლუციის
ჩაჭრა შეუძლებელია. შელშევიზმში ისლა-
მის მზავსად მონახავს თავის ეტნოგრაფიულ
სახელებს. გერმანელები თავის ხასიათით
და ბუნებით, არ შეიძლება იყვნენ ბოლშე-
ვიკები. ომის შემდეგ შექმნილი ავადმყოფ-
ფურმა მდგომარეობამ ბოლშევიკურ იდეებს
რამოდენიმე ნიადაგი მოეზოდა. ატმოსფე-
რის გაწმენდის შემდეგ ბოლშევიზმი დიდ
წინააღმდეგობას ნახავს გერმანიაში. მაგრამ
ახლა თავის წმინდა მოვალეობად მიმაჩნია
რუსეთისადმი ნეიტრალიტეტის დაცვა. „ფო-
სიშე ციტირებ“ არჩევს რა ამასთანავე სი-
მონსის წერილს, მოითხოვს გერმანიის მთავ-
რობის ოფიციალურ განმარტებას, იმის შე-
სახებ თუ როგორი დამოკიდებულება იყო

გერმანიის გენერალურ შტაბსა და ბოლშევიკ-
ურ გადატრიალების ხელმძღვანელებს შო-
რისა.

ვრანგელის მთავრობის მდგომარეობა.

ბერლინი. სექტემბრის 3. „ფრენხეიტი“
ენება ვრანგელის მთავრობის მდგომარეობას
საფრანგეთის მთავრობის მიერ ცნობის შემ-
დეგ და სწერს: საფრანგეთისა და ინგლისის
მუშების მოვალეობა აქტიური წინააღმდეგო-
ბა გაუწიოს ყირიმში სამხედრო სურსათის
გაგზავნის საქმეს. ვრანგელს დახმარება რუ-
სეთის ავონის გაახანგრძლივებს. რამდენად
აღრე შეუწყდება ვრანგელს დახმარება და
რამდენად აღრე შეწყდება რუსეთში სამო-
ქალაქო ომი, ევროპაში იმდენად აღრე დამ-
ყარდება მშვიდობიანობა.

ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საფრანგეთის პრესა კვაყოფილებით აღ-
ნიშნავს გამოჩენილ ფრანგ სინდიკალისტე-
ბის პროტესტს ბოლშევიკების წინააღმდეგ
მიმართულს. „ინფორმაციონ ურეიერტე სო-
ციალი“-ი სწერს: რუსეთის ბოლშევიზმს არ
აქვს არაფერი საერთო არც სოციალიზმთან
და არც სინდიკალიზმთან. მას შეუძლია ია-
რსემბოს ისეთ პირობებში დიქტატურით, რომ
მელიც ტერორის ეყრდნობაზე, და რომელ-
თაც დაქირავებული ჯარა უმარგებს ზურგს.
ჩვენ უნდა გავილაშქროთ, სწერს ლიონზე
მომუშავეთა ფედერაციის მდივანი მერვეიმი,
ამ რეაქციონერ და მალიტარისტურ მოძ-
ღვრების წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა ისე-
თივე საშინელი რეაქციონერი კასტა, როგო-
რიც შექმნა კაპიტალიზმი.

(გაზეთებიდან)

ტომას შოუ ლენინის შესახებ.

ვაზეთი „ტაიმსის“ ცნობით ტომას შოუს
უნახულია საბჭოთა რუსეთი. ტ. შოუ ასე
ახასიათებს ლენინს: „მე იგი წარმოდგენილი
მყავს როგორც დიდი ინდივიდუალიზმის მქო-
ნე, რომელსაც ესმის თავისი მიზანი და მის-
წრფეობა. იგი უკიდურესი დიქტატიონიზაია
და თავის შეხედულებას, აზრს სთვლის ისე,
როგორც უკვე განხორციელებულს, მომხდარ
ფაქტს“.

დ'ანუნციო და ფ უმეს საკითხი.

დე-ამბროსიოსი სიტყვის შემდეგ, რომელ-
მაც აღნიშნა, რომ იტალიის მთავრობა სა-
თანაოდ გადაწყვეტილებას ვერ იჩენს ფიუმეს
საკითხშიო დ'ანუნციომ განაცხადა, რომ
საჭიროა ფიუმეს დამოუკიდებლობის აღი-
არებას.

ვრანგები კილიკიაში.

ბოსტონის სომხური გაზეთი „კაპან“-ი იტ-
ყობინება, ფრანგებმა იმის მაგივრად, რომ
ხელი შეუწყონ სომხებს, პირიქით, ოსმალოე-
ლებს ამხედრებენ მათ წინააღმდეგ. ამის შე-
ხებ უცნობეობით პრეზიდენტ ვილსონის-
თვის. საფრანგეთის ჯარს აღუა შემოურტყამს
სომხთათვის და ჩოკ-მარზანში მოუთხოვიათ
მათი განიარაღება. სომხებს უნდოდათ სტრა-
ტეგიული ადგილები დაეჭირათ, მაგრამ
ფრანგებს ამისთვის ხელი შეუშლიათ.

„ჩრევიზიზმი“ ამოუღება.

ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულთა სიტყვით
სადღურ პროხლანდისთან თერგის ყაზახებს
„ჩრევიზიზმი“-ს წარმომადგენლები სულ
მთლად ამოუღებიათ. ამ შეტყობას ხსნიან
მით, რომ „ჩრევიზიზმი“-ს თერგის ყაზახე-
ბისთვის ხელ მუდამ ტერორი ჰქონდა დანი-
შნული, ხალხი ისე აუღლებულა, რომ ყო-
ველი მოთმინების სახლგორი გადულახავს და
დიდი სისხლი დაუღვრიათ.

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ პროტესტი განუტ-
ხადა უმალეს საბჭოს გადაწყვეტილე-
ბას, რომლის ძალით უმალესმა საბჭომ აღ-
მოსავლეთი პრუსია უნდა გამოეყო დასა-
ვლეთის პრუსიის და კომპეცხანის ნავთსადგურ-
რი კიდევ გადასცეს პოლონეთს.

წითელი გენერალი მარკოზაშვილი.

წითელი არმიის გენერალი მარკოზაშვილი,
რომელიც კავკავში ქართველებიდან წითელ
არმიისთვის ჯარს აგროვებდა ამ ერთი თვის
ნახევრის წინად დაქერილ იქნა ბოლშევიკე-
ბის მიერ. ამ ემად როგორც გაზეთები გად-
მოგვცემენ, ბოლშევიკებს ისევ გაუნთავისუფ-
ლებიათ იგი.

**მუსტაფა-ქემალი და ოსმალეთის ხელ-
შეკრულება.**

„ნორ-აშტაუროს“ გადმოცემით ქემალს
მოსკოვში ნარიმანოვისთვის გაუზახვანია შე-
დეგი დეპეშა: „ინგლისიდან იტყობინებთან,
რომ კონსტანტინოპოლის მთავრობას ანტან-
ტის კარნახით ხელი მოუწერია სახავო ხელ-
შეკრულებას. ანგორის რევოლუციური

მთავრობა ამაზე სასტიკ პროტესტს აცხადებს
და მთელი ქვეყნის წინ აღიარებს რომ ეს სა-
მარტინო აქტი ისევ ვაგარძელებს ძმთა
შორის შურისძიებას და სისხლის ღვრა არ
მიისპობია“.

ღეკეშები

(საქ. დეპ. სააგ.)

გერმანული ცნობები.

გერმანიის წინადადების უარყოფის გამო.
გერმანიის პოლიტიკური წრეები მწუხარე-
ბას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ანტანტამ
უარყო გერმანიის წინადადება ზემო სილე-
ზიაში ნეიტრალურ საგამომიებლო კომისიის
დანიშნის შესახებ. გერმანიას ამით უნდა
დაემტკიცებია, რომ ზემო სილეზიის საკით-
ხის გამო მას არ ეშინია მთელი ქვეყნის სა-
სამართლო. მართალია უარი არ არის გა-
მოსატყუარი უზრდელ ფორმაში, მაგრამ იგი
კეთილშეზობლივი მანიც არ არის. მეორე
მხრით გერმანიის მთავრობამ ზემო სილეზიის
შესახებ მოკავშირეთა მთავრობების კონფე-
რენციას მიმართა ნოტიო, რომელშიაც იგი
ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენას
მოითხოვდა. ნოტასთან თან დართული იყო
დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ პო-
ლონეთის ტერიტორი მთელ წარმოებას ემუქ-
რება, ვინაიდან მუშები პოლონელთა მუქა-
რის გამო სამსახურიდან გასვლას ითხოვენო.
გლევიციაში მყოფმა მომრიგებელმა კომისიამ
განაცხადა, რომ მწარმოებლებს საშინელ
პირობებში უხდებათ ფაბრიკა ქარხნების
აღდგენაო.

უენევის კონფერენცია.

თანახმად „ნებო დეპარი“ ცნობისა უენევის
კონფერენცია მოკავშირეთა ერების წარმო-
მადგენლებისაგან შესდგება, რომლებსაც გერ-
მანიის წინადადებანი აღმადგენელ კომისიის
საშეღებით უარედგინებია. „დეიტშე ალგე-
მანიე ციტირებ“ ამის შესახებ სწერს: ასეთი
პროცედურის მიზანი ნათელია. საფრანგეთის
განზრახვა არის შედეგი იმისა რომ მილიერა-
ნი არ არის კმაყოფილი სპაში მომხდარ კონ-
ფერენციით. თუმცა გერმანიამ აქ ძლიერ ცო-
ტა მოიგო, მაგრამ ამანაც კი უკმაყოფილოა.
მა გამოიწვია საფრანგეთში, ვინაიდან მას
არ ჰქონდა საშეღება ყოფილიყო მოკარნახ-
ნელმა არ მიიღო ყველა ის წინადადებათ,
რომლებიც წარმოდგენენ იყვენ გერმანიის
წინააღმდეგ. საფრანგეთს ეშინია, რომ საფ-
რანგეთში მოხდება ნამდვილი მოლაპარაკება,
სახელმძღვანელო ისეთი, როგორც არა მეომარ
სახელმწიფოებს შორის არის ხოლმე. უენე-
ვაში არ განიხილავენ გერმანიის მიერ შეუს-
რულებელ ვალდებულებათ. „დეიტში ალგე-
მანიე ციტირებ“ დარწმუნებულა, რომ
„ნებო დეპარი“-ში დაბეჭდილი წერილი არ წა-
რმოადგენს მოკავშირეთა უკანასკნელ გადა-
წყვეტილებას, რომ საფრანგეთის პოლიტიკა
დამოკიდებულია ევროპის მოთხოვნილებასო.

კირავის ცნობა.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა სა-
ქართველოში კირავმა აცნობა: საგარეო საქ-
მეთა სამინისტროს, რომ საბჭოთა მთავრო-
ბას არ შეუძლია საქართველოს მუშათა დე-
ლეგაცია შეუშვას თავის ტერიტორიაზე.

ლიონის ცნობები.

მილნერის დელეგაცია.

„პტი-პარიზიენი“ მოკლე დროში ლორდ-
მილნერის გადადგომის შესახებ იუწყება.

რივის კონფერენცია.

თანახმად ვარშაიდან „მატენის“ მიერ მი-
ღებული ცნობისა რივაში კონფერენცია
სექტ. 16. გაიხსნება. პირველ რიგში გაირ-
ჩევა უკრაინის საკითხი.

სერბიის სამინისტრო უარყოფს ხმებს სერ-
ბიელთა ჯარის მიერ აღმანელთა შეტევადღ
სერბიელების მიერ დაქერილ ხაზზე გადმო-
ვლის შესახებ.

**იტალიის პოლიტიკური სააგენტოს რე-
დიო ცნობები.**

ხალხთა ლიგის ხსენება.

დღეს ხალხთა ლიგის პირველ სხდომის
დღიურ წესრიგში შემდეგი საკითხი სდგას.
1) ხალხთა ლიგის ბინადრობა 2) საერთაშო-
რისო სასამართლო პალატის დაარსების
პროექტი.

**საერთაშორისო კონფერენციის
პრაგმაში.**

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით იტა-
ლიის, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის და
შვეიცარიის შტატების წარმომადგენლები

ოქტომბრის 8 მომავალ საერთაშორისო კონ-
ფერენციის პროგრამის შესამუშავებლად და
გერმანიის საკითხებზე მოსალაპარაკებლად
ვაშინგტონში შეიკრიბებიან.

მილიერანი და ჯილიტი.

მილიერანი ჯილიტის კვირას ექსლევანში
შეხვდა. საფრანგეთი და ინგლისი მშვიდობი-
ანობის დასაცავად ზომებს ღებულდებენ. საზ-
ქოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ
მილიერანმა განაცხადა მოკავშირეებში ამ სა-
კითხის შესახებ უთანხმოება არ არის და სა-
ბჭოთა მთავრობის ცნობას არავინ ფიქ-
რობსო.

ამერიკის სამხედრო გემი.

ამერიკის სამხედრო გემი „პიტსბურგი“
დაიძირა ბალტიის ზღვაში ლიბავის მახლო-
ულად.

მიწის ძვრა უენევაში.

ხუთშაბათს ღამით ორჯერ იძრა მიწა. მი-
წის ძვრა ძლიერი იყო. ზარალი დიდი.

მალაროვში მომუშავენი.

მალაროვში მომუშავეთა დელეგატები იუ-
წყებიან, რომ იმათ მთავრობას ორი უპარ-
ტიო სასამართლოს დაარსების შესახებ არა
ოფიციალურ შეკითხვით მიმართესო: ერთი
სასამართლო ჯამაგირის საკითხებზე იმჯე-
ლებს და მეორე ქვა-ნახშირის გათხრებზე.
იმედი აქვთ, რომ მთავრობა ამ მოთხოვნას
დააკმაყოფილებს. ქვა-ნახშირის კრიზისი
ისევ გრძელდება.

სამხედრო ცნობა.

თანახმად დამატებითი ცნობებისა ორენო-
ვის მიმართულებით წამოყვანილია 1000 ზე-
მეტი ტყვე. მოწინააღმდეგე ძლიერ დამარ-
ცხდა. დნებზე გადმოსვლის მტრის ცდა
უნაყოფოდ ჩატარდა. ლეპტინიდან და კორ-
სუნის მონასტერთან წითლები აღარ არიან.

პოლონეთის ფრონტზე.

პოლონეთის ფრონტზე წითლების უკან
დახევამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო.
უკანასკნელი კვირის განმავლობაში პოლო-
ნელები უტევდენ ისე რომ წინააღმდეგობას
არავინ უწყვედა მათ. საბჭოთა ჯარში არა-
ვითარი დისციპლინა არ არის. ჯარისკაცე-
ბი და ოფიცრები საბჭოთა მთავრობას აგი-
ნებენ.

ვრანგელის ოფიციალური ცნობები.

ვენ. ვრანგელის ოფიციალური ცნობა აღ-
ნიშნავს, რომ წითლების შემოტევა ზემო-
ტოკაიკის მიმართულებით უკვე ვაქციეთ. კა-
ხოვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ.

პოლონეთის გენერ. შტაბი ოფიციალურად
იუწყება: მთელ გალიციაში ბოლშევიკებს
ფრონტის განსაზღვრული ხაზი აღარ აქვთ.
ჩვენმა მშველმა ჯარმა დნესტრის სამხრეთ
რაიონი და ბუგის მარცხენა ნაპირი წითლე-
ბისაგან გაანთავისუფლა. გოროდენცასთან
ახლოს 4000 ტყვე წამოვიყვანეთ.

ყირიმში.

ყირიმში ყუბანის მოსავალი საშუალოზე
უკეთესია. მელიტოპოლის მახრში გლეხები
მიწის ახალი კანონით კმაყოფილნი არიან.

სასურსათო სწორება.

სურსათის გაყიდვა.

ქალაქის სასურსათო განყოფილება იუწყე-
ბა, რომ მან გადასცა სასურსათო მალაზიებს
გასასყიდოდ: შაქარი, ბრინჯი, ლანჩა, პი-
კები, კრახალი და სხვა საქონელი.

მარილი.

სასურსათო განყოფილებამ შეიძინა 40
ვაგონი თეთრი ევპატორიის მარილი. ამის
გარდა ცენტრო-ბანკმა მიიღო ცნობა, რომ
ფოთში დიდძალი მარილი მოვიდაო.

ხორცი.

ქალაქის სასურსათო კომისიამ ხორციზე ახა-
ლი ნიხრი დამტკიცა: ძროხის ხორცი 35 მ.
გირვანქა, კამეჩის 25 მ. და ცხვრის 50 მან.
გირვანქა.

ხორბლეულობის დამწვდება.

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მომა-
რავების სამინისტროსთან შეთანხმებით შეი-
მუშავა ბორჩალოს მახრში ხორბლეულობის
ყიდვის დამატებითი პირობები. მომარავების
სამინისტროს მიერ შექმნილი ხორბლეო ისიც
კი, რომელიც ტფილისში გამოიტანა უნდა
გადაეცეს ქალაქის სასურსათო განყოფილე-
ბას შემდეგი პირობით: მომარავების სამი-
ნისტროს მიერ ბორჩალოში გაგზავნება
შექმნილი ხორბალი ქალაქის სასურსათო
განყოფილების სახელზე, ხოლო დუბლიკატი
გაგზავნება მომარავების სამინისტროს. ხო-
რბლეულობის შესაქენ ოპერაციებისათვის ქა-

ლაქის სასურსათო განყოფილებას მომარაგე-
ბის სამინისტროში ბეთ აქეს 10 მილიონი
მანეთი. მუშაობის გასაადვილებლად განყოფი-
ლებას შეუძლია გაგზავნოს გლეხებისათვის
საჭირო საქონელი ხორბალზე გადასაცვლე-
ლად.

მომარაგებელ კამერაში.

ცენტრალურ მომარაგებელმა კამერამ გა-
დასწვივტა ნეიტრალურ წარმომადგენლისა
და მისი ამხანაგის ხელახალი არჩევნები სექ-
ტემბრის ბოლო რიცხვებისათვის გადასდეს.

ეროვნული

ევროპის სოფ. დელეგაცია.

ერობათა კავშირის გამგეობამ სიონის სა-
ზარო ეროვნულ დელეგაციას აცნობა, რომ ევრო-
პის სოციალ. დელეგაცია პროვინციის შემოგ-
ლის დროს თელავს და წინანდალს ინახუ-
ლებსო. დელეგაცია ალბად ზოგიერთ თემებ-
საც ინახულებს.

— ოზურგეთის ერობის გამგეობამ ერობათა
კავშირის კომიტეტს თხოვნით მიმართა
იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს რათა ევრო-
პის სოციალ. დელეგაციამ ოზურგეთის მაზ-
რაც ინახულოს.

მიმართვა საზარო ერობისადმი.

ერობათა კავშირის კომიტეტმა სამაზრო
ერობებს შემდეგი წერილით მიმართა: დიდი
შრომა და ენერჯია იყო საქირო იმისათვის,
რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებ-
ლობა მოეპოვებოდა, საუკეთესო შვილების
დაუღალავი მოღვაწეობა გამარჯვებით დაგ-
ვირგინდა და საქართველომ მიაღწია დამოუ-
კიდებლობის ცნობას. მაგრამ მთელი ეს
შრომა დაკარგული იქნება, პოლიტიკური
დამოუკიდებლობას არ ექნება დიდი ღირებ-
ებობა, თუ რესპუბლიკა ეკონომიურად
არ აღორძინდა. ამიტომ საქართველოს ყო-
ველმა მოქალაქემ, ყველა დაწესებულებამ და
ორგანიზაციამ მზურვალე მონაწილეობა უნდა
მიიღონ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების
საქმეში. მსოფლიო კრიზისმა ევროპის სახელ-
მწიფოებში მძიმე მდგომარეობა შექმნა. ეკო-
ნომიურ სისუსტე და სურსათ-სანოვანის ნა-
კლულოვანება ავადმყოფურ გავლენას ახდენს,
ეკონომიურ მდგომარეობაზე. ბუნებრივია,
რომ საქართველო დიდ გაჭირვებას განიც-
დის. მაგრამ რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდი-
დრეს და მისი ინტენსიურ დამუშავებას შეუ-
ძლია რესპუბლიკა გამოიყვანოს მძიმე მდგო-
მარეობიდან. სასუსათო კრიზისი ერთ უმწვა-
ვეს საკითხს შეადგენს რესპუბლიკისათვის,
მაგრამ მისი ბედნიერება იმაშია, რომ მას
აქვს მდიდარი და მოსავლიანი ადგილები.
საჭიროა ამ ადგილების დამუშავება, არც
ერთი ნაჭერი მიწისა არ უნდა დარჩეს დაუ-
თესავი, ამით ჩვენ შევსდებით რესპუბლიკის
პოლიტიკურ დამოუკიდებლობის განმტკიცე-
ბას. საჭიროა სათვის მასალის და მანქანე-
ბის შექმნა. ერობები უნდა დაეხმაროს ხალხს
და მისცეს ყველაფერი რისი მიცემაც კი შეუ-
ძლია მას.

გილიტინაში

— 13 სექტემბერს სახალხო გვარდიელის
თეოდოს ბუსრიკაშვილის ბინაზე (ელისაბე-
დის ქუჩა № 155) სისხლის სამართლის მი-
ლიციის მიერ აღმოჩენილ იქნა ორი რე-
ვოლვერი. პირველი „მაუზერის“ სისტემისა,
მეორე კი „ბრაუნინგი“. რადგან თეოდოს
ბუსრიკაშვილს იარაღის ტარების ნებართვა
არ აღმოაჩნდა სისხლის სამართლის მილი-
ციამ მას იარაღი ჩამოართვა.

— 10 სექტემბერს ტრამვაიზე უკანა ბა-
ჭანზე ერთ მგზავრს ჯიბიდან ქისა ამოაცა-
ლეს. რადგან დამკარგველს დღემდის არ გა-
ნუტხადებია სისხლის სამართლის მილიციის
თავის დანაკარგის შესახებ, სისხლის სამარ-
თლის მილიცია ამით აცხადებს, რომ მან
შეიპყრა ეს ქუჩილი ვინმე ალექსანდრე ბევა-
ნოვი და სთხოვს ქისის და ფულის დამკარ-
გავს გამოცხადდეს სისხლის სამართლის მი-
ლიციის თავისი დანაკარგის მისაღებად.

— 12 სექტემბერს ტრამვაის ვაგონში დი-
მიტრი სვიმონის ძე ნოდინს მოჰპარეს ოქ-
როს პორტსიგარი ღირებულებით 200.000
მანეთის. სისხლის სამართლის მილიცია
სთხოვს მოქალაქეებს, ვინც იცის რაიმე ცნო-
ბა ამ დანაკარგის შესახებ მას შეატყობინოს.

უ ა ნ ც ხ ა ლ მ ზ ა ნ ი

დაიკარგა 1920 წ. ფოთის ვაჟთა გიმნა-
ზიის დამთავრების ატესტატი შალვა ვასი-
ლის ძე გორგაძის სახელზე. გაუქმებულად
ჩაითვალოს. 2690 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფ-
ლებების მოწმობა სოლომონ იაგორის ძე ლო-
ლაძის სახელზე, მიღებული, ტფ. სამხედრო
აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაი-
თვალოს. 2678 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბრამ ალ-
ქსანდრეს ძე აბრამიანცის სახელზე, მიღებუ-
ლი ირკუკის სამმართველოსგან. გაუქმებუ-
ლად ჩაითვალოს. 2669 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით
მილიციონერი ალექსანდრე დეკანოზიშვი-
ლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის
უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად
ჩაითვალოს. 2696 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფ-
ლების მოწმობა № 497, მიღებული შორაპ-
ნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსი-
საგან იასონ ხაჩიძის სახელზე, გაუქმებულად
ჩაითვალოს. 2700 3—2

დაიკარგა რესტორანის ნებართვა № 1034
აქვანტი სვანიძის სახელზე, მიღებული ტფ.
ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაით-
ვალოს. 2702 3—2

დაიკარგა პასპორტი № 611 რაფიელ სამ-
სონის ძე მალაიანცის სახელზე, მიღებული
სომხეთის წარმომადგენლისაგან საქართვე-
ლოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2703 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფ-
ლების მოწმობა, მიღებული ალექსანდროპო-
ლის სამხედრო საკრებულოდან, მაღაზიის
პატენით და ექვსი თვის ვადიანი საქართვე-
ლოში წასასვლელი მოწმობა № 13593, მი-
ღებული საქართველოს საკონსულოდან სომ-
ხეთში—არტაშეს არაუტენის ძე პოლოსიან-
ცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2695 3—2

დაიკარგა დროებითი მოწმობა ალექსან-
დრე გრიგორის ძე ჩეჩენოვის სახელზე, მი-
ღებული 1 სამილიციო კომისარიატიდან.
გაუქმებულად ჩაითვალოს 2704 3—2

დაიკარგა ბრაუნინგის სისტემის რევოლვე-
რი № 275081 მისი ნებართვით, მიღებული
კავშირი „მწყემსი“-საგან და სხვა საჭირო
საბუთები—ბაგრატ მიხეილის ძე კაშველა-
შვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2707 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სურენ
გრიგორის ძე მარტიროზოვის სახელზე, მი-
ღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფრო-
სისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2692 3—2

დაიკარგა უვალო პასპორტი მიღებული,
მე-6 კომისარიატიდან ქ. ბაქოში, სარეგის-
ტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო
აღრიცხვის უფროსისაგან და სამხედრო ბეგ-
რიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული
ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა-
გან დიმიტრი (იგივე ვიქტორ) გაბრიელის
ძე ბალანჩივადის სახელზე. გაუქმებულად ჩაი-
თვალოს. 2694 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი არდავანის
შესახვეში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთ-
ვნის მიხეილ თვაურს. გაუქმებულად ჩაითვა-
ლოს. 2682 3—3

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ გიორგის
ძე ბეგთაბეგოვის სახელზე, მიღებული ტფი-
ლისის დეპუტატთა საკრებულოდან. გაუქმე-
ბულად ჩაითვალოს. 2685 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკი-
დებულების მოწმობა, № 3033 ლევან ივანეს
ძე ზავრატაშვილის სახელზე, მიღებული ტფ.
ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვა-
ლოს. 2683 3—3

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. იანვარის 24 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია მებელეთა კოოპერატიული ამხა-
ნაგობა „ლიახვი“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. იანვარის 21 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია მომხმარებელი საზოგადოება
„შრომა“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 4 დადგენილებით
კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტა-
ნილია ვარანცოვკის მომხმარებელი საზოგა-
დოება „ამხანაგი“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 4 დადგენილებით
კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტა-
ნილია მომხმარებელი საზოგადოება „მესხე-
თი“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 10 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია შრომის არტელი „მუშა ქალი“
20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 22 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია ახალქალაქის კოოპერატივთა
კავშირი „ჯავახეთი“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 22 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია მომხმარებელი საზოგადოება
„გერმანიული კოოპერატივი“ 20 ივლისი
1920 წ. 0592 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თან-
ხმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რე-
გისტრაციული განყოფილების 25 ივლისის
1920 წ. დადგენილებით, შეტანილია რეესტრ-
ში, წესდება ქუთაისის საზოგადო საკრებუ-
ლოში. 0596 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 22 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია მომხმარებელი საზოგადოება
„ერთობა“ 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასა-
მართლოს 1920 წ. ივლისის 22 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია მომხმარებელი საზოგადოება
„ყაზბეგი“. 0592 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამარ-
თლოში ელენე გიორგის ასულმა ეფიმივისამ
შემოიტანა განაცხადება, რომ მისი ქმარი
თევდორე (ფედია) მიხეილის ძე ეფიმივი,
რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1916 წელს,
უქვალოდ დაიკარგა 1918 წელს, მის გამო
აღნიშნული ელენე გიორგის ასული ეფიმივი-
სა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყვე-
ლა, ვინც კი იცის დეკარგული თევდორე
მიხეილის ძე ეფიმივის მისამართი ვალებუ-
ლია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ
კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამარ-
თლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის
შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განც-
ხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლო-
ბაში. 2717 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს რომ სასამარ-
თლოს 1920 წ. ივლისის 16 დადგენილებით
იმ საზოგადოებათა და კავშირთა სარეგის-
ტრაციო ნუსხაში, რომელთა მიზანს არ შეად-
გენს გამოარჩენა შეტანილია ტფილისის სამ-
რეწველო რაიონის „მეთაბრიკე მექარხნეთა“
საზოგადოება 20 ივლისი 1920 წ. 0592 1—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქუთაისის
ქალაქის მილიციიდან მოსეს მაისის ძე არო-
ნოვიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2717 3—1

რაიკარგა პასპორტი № 445 მიღებული სე-
ნაკის მაზრის ნაგავაზოს თემიდან და სამხედ-
რო ნუსხა სენაკის სამხედრო უფროსისგან №
3. ლავრენტი ბეკოს ძე გვაზავის სახელზე,
გაუქმებულად ჩაითვალოს. 2718 3—1

თამარ გრიგოლის ასული მდივნისა აცხა-
დებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, მიცე-
მული ყოფილ პოლიციის მხარე, გაუქ-
მებულად ჩაითვალოს. (უ)

დაიკარგა ნუსხა სამხედრო სამსახურის, მი-
ღებული ქუთაისის სამხედრო სამაზრო სამმ-
ართველოდან 1919 წ. № 2338 და მოწმობა
მიღებული ქუთაისის სამაზრო ერობიდან 1919
წ. 10 მაისს № 455 ივლიანე პავლეს ძე კობ-
რეიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2709 3—1

დაიკარგა პასპორტი გაცემული სოფ. ყვა-
რლის კომისარის მიერ 1919 წ. ზაქარია იო-
სების ძე მირმშიშვილის სახელზე, გაუქმებუ-
ლად ჩაითვალოს. 2708 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალ ზაი-
ხეთში ქალაქის მართველობიდან ხაჩატურ
ტატეოსის ძე შუხურიანცის სახელზე გაუქ-
მებულად ჩაითვალოს. 2711 3—1

დაიკარგა მოწმობა მიღებული მილიციის
სამმართველოდან ანნა ზავდანიოვის ასული
მელიქიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვა-
ლოს. 2715 3—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა
მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფრო-
სისგან ვეტრე იოსების ძე ზუზუბაძის სახელზე,
გაუქმებულად ჩაითვალოს. 2716 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლო სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს რომ სასა-
მართლოს 1920 წ. აპრილის 6 დადგენილე-
ბით იმ საზოგადოებათა და კავშირთა სარე-
გისტრაციო ნუსხაში, რომელთა მიზანს არ
შეადგენს გამოარჩენა შეტანილია „ტფილისის
წრე“ 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სა-
სამართლოს 1920 წ. იანვარის 21 დადგენი-
ლებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხა-
ში შეტანილია საქართველოს საწარმოო კოო-
პერატივი „ძმობა“. 0592 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სა-
სამართლოს 1920 წ. მაისის 28 დადგენილე-
ბით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუს-
ხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ
აქვს დასახული შეტანილია საზოგადოება
„ამირანი“

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგის-
ტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სა-
სამართლოს 1920 წ. მაისის 14 დადგენილე-
ბით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში
შეტანილია „ახალციხის კოოპერატივი“ 0592 1—1

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული
პირველი ქართული გუგუალტარიის კურსები
ალ. გ. საათაშვილისა
(წელიწადი მეოთხე) ყველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზე. პირობების
გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4-6 ს. ტფილისი, დუშეთის
ქუჩა ს. № 9, წყნეთის ქუჩის ახლოს, ტრამვაი № 5 ზღ. 9.
2710 1—1